ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 185

სამშაბათი, 28 აგვისტო, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1901

ივერია

№ 185

სამშაბათი, 28 აგვისტო, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ქეთევან ლუარსაბის ასული ყურულისა შვილებითა და სიძითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 1-ს სექტემბერს, სოფ. არბოში წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

დურმიშხან შალვას-ძე ყურულის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის ათს საათზედ და შემდეგ პანაშვიდი მოჰყვება.

(2—189—2)

სასწავლებელი და პანსიონი

ა. მამულაიშვილისა.

ოლგას ქუჩა (Ольгинская), № 13.

ყმაწვილებს იღებენ ყოველ დღე. სწავლა 1 სექტემბრიდამ.

(10—181—7)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა,

ა. პ. ტერ აპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვებისავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 საათ.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7\frac{1}{2}$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

ქ. ქუთაისში

ქალაქის ექიმი

ი. ი. ჩარექოვი

გადავიდა ბინად ტფილისის ქუჩაზე, თ. ნიჟარაძის სახლში, № 46, აბორინის სახლის გვერდში.

იღებს ავადმყოფებს 10—12 საათამდის.

(8—185—3)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი.—საქირურგო, $12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ საათ. სამშაბათობით. 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, $1\frac{1}{2}$—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

მთავრობის განკარგულება

დანიშნულ იქმნა ბაქოს ოლქის სასამართლოს უფროსი კანდიდატი აბზიანიძე ყუბის განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწედ.

ახალი ამბავი

⁂ მისი უდიდებულესობა ელლინთა დედოფალი, დიდნი მთავარნი მიხეილ ნიკოლოზის ძე და გიორგი მიხეილის ძე მეუღლითურთ მარიამ გიორგის ასულითა, დიდის მთავრის გიორგი მიხეილის ძის ასული ნინო, დიდის მთავრის ვლადიმირის ასული ელენე და საბერძნეთის მეფის ძენი ანდრია და ქრისტეფორე გიორგის ძენი 25 აგვისტოს მობრძანდნენ ბათუმს, რომელთაც მიეგებნენ კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი, მისი თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე, ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი ბ-ნი ლინდენი, ამიერ-კავკასიის რკინის გზათა უფროსის მოადგილე ინჟენერი შაიკევიჩი და სხ. დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ საპატიო დარაჯს სალამი უძღვნა და კანონირს ბუციგინს, რომელმაც ამ წინაზედ ბათუმის საარტელერიო ციხის აფეთქების დროს იჩინა თავი, იმპერატორის სახელით სამჯერ აკოცა პირზედ. ელლინთა დედოფალმა მიიღო დეპუტაციები ქალაქისა და ბერძენთა ახალშენისა. დედოფალსა, დიდის მთავრის მეუღლესა და დიდის მთავრების ასულთ ყვავილის თაიგულები მიართვეს. წასვლის წინად სამხედრო საავადმყოფოში ბრძანდებოდნენ და აფეთქების დროს დაშავებულნი ინახულეს. ელლინთა დედოფალს ქალაქმა პურ-მარილი მიართვა. $11\frac{3}{4}$ საათზედ უავგუსტოესი სტუმრები მატარებლით ბორჯომს მიბრძანდნენ. საუზმეზედ, რომელიც მატარებელში იქმნა გამართული, მიწვეულ იქმნენ, ამალის გარდა, მთავარ-მართებელი კავკასიისა თავ. გოლიცინი, ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი ბ-ნი ლინდენი და ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის მოადგილე ინჟენერი შაიკევიჩი. რკინის გზის სადგურები ყველგან ბაირაღებით იყო მორთული; ხალხი ალტაცებით ეგებებოდა.

მიხაილოვის სადგურზედ უავგუსტოესს სტუმრებს ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი სვეჩინი და გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი მიეგებნენ.

ბორჯომში, 25 აგვისტოს, საღამოს $8\frac{1}{2}$ საათზედ, ჩაბრძანდნენ. ძვირფასს სტუმრებს ხალხი ყველგან ალტაცებით ეგებებოდა.

⁂ კავკასიის მთავარმართებელი თავ. გოლიცინი, მისი თანაშემწე გენ.-ლეიტ. ფრეზე და გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი სვეჩინი იმავე დღეს საღამოთი ხაშურიდგან ტფილისში დაბრუნდნენ.

⁂ ტფილისის სამკურნალო გამგეობამ მიჰმართა მაზრის მკურნალებსა, უფროსებსა და ქალაქის თვით-მმართველობათ აცნობონ რა ღონისძიებაა მიღებული, რომ ყველგან სისუფთავე და ჯანმრთელობა იყოს დაცული. ამასთანვე სთხოვს გამგეობა სასტიკად ადევნონ თვალყური ყველა სამკუნალო და გამაგრილებელ სასმელების ქარხნებსა.

⁂ როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, ტფილისისა და კავკასიის სხვა ქალაქების შუამდგომლობა უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლის დაარსების შესახებ მთავრობას კიდევ უდროოდ უცვნია. რაც შეეხება ამ აზრით შეკრებულს თანხას, სამოსწავლო მთავრობა თურმე ურჩევს ეს ფული საშუალო სამთო-სამრეწველო სასწავლებლისა ან ტეხნიკურ სასწავლებლის დაარსებას მოჰხმარდეს.

⁂ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა თურმე აქვს კავკასიის სააგარაკო ადგილებში ინტელიგენტთა დასასახლებლად ზოგიერთი განკარგება შეიტანოს, მაგალითად, ხმელითა და წყლით მისავალი გზები გაკეთდეს, დაარსდეს დაბალი და საშუალო სასწავლებლები, სამკურნალო სადგურები და სხვ.

⁂ როგორც პეტერბურგიდგან იწერებიან, მალე იქ თურმე ამერიკელს პირველს მილიონერს ასტორს მიელიან. პეტერბურგიდგან ასტორი მოსკოვს წავა და აქედგან კავკასიაში, სადაც ბათუმში საკუთარი ოკეანეში მავალი გემი დაუცდისო.

⁂ როგორც სატახტო ქალაქიდგან იუწყებიან, პირველს ოქტომბრიდგან გზათა მინისტრის განკარგულებით ახალი წესი თურმე იქმნება შემოღებული. თანახმად ამ განკარგულებისა, თუ რომ რკინის გზის მგზავრს ბარგი დაეკარგება, ან და მატარებელი, რომლითაც ბარგია გაგზავნილი, რაიმე მიზეზით 48 საათს დაიგვიანებს და პატრონი ბარგს ამ ხნის განმომავლობაში ვერ მიიღებს, მაშინ კვიტანციის პატრონს უფლება აქვს რკინის გზისაგან კანონის მიერ დადგენილი ფული მოითხოვოს. სადგური, რომელსაც ბარგი უნდა მიეღო, მაშინვე ბარგის გამგზავნელს სადგურს დაეკითხება დეპეშით და თუ აღმოჩნდება, რომ ბარგი მართლა მიღებულია, შეუძლიან სამის დღის განმავლობაში ხვედრი ფული რკინის გზის კასსიდგან მიიღოს. თუ რომ ბარგის პატრონს უნდა უთუოდ დაგვიანებული ან დაკარგული ბარგი მიიღოს (რასაკვირველია, თუ იპოვნიან), მაშინ ფულის მიღების დროსვე უნდა მოაწეროს ხელი და განაცხადოს ეს სურვილი. აღნიშნული წესი სახაზინო რკინის გზებზედ ყველგან იქმნება შემოღებული.

⁂ როგორც საერო განათლების სამინისტროს განუმარტავს, დედათა გიმნაზიის გალობის მასწავლებლები საპედაგოგო საბჭოს წევრებათ არ უნდა ითვლებოდნენ თურმე, რადგანაც აღნიშნული საგანი სავალდებულო არ არის. რაც შეეხება ხელთ-საქმის მასწავლებლებს, ესენი უთუოდ წევრებათ უნდა ითვლებოდნენ, რადგანაც დედათა სასწავლებლებში ხელთა-საქმე სავალდებულო საგანიაო.

⁂ უმაღლესად ნაბრძანებია, რომ გორის სადგურზედ რკინის გზის მსახურთათვის შენობის ასაგებადა და ავჭალაში ლიანდაგის დასაგებად საჭირო მიწა (1 დეს. 1313,6 ოთხ-კ. საჟენი გორისათვისა და 1 დეს. 78,4 ოთხ-კ. საჟენი ავჭალისათვის) კერძო მესაკუთრეებისაგან შეძენილ იქმნეს და კანონით გადაჭრილი ფასი მიეცეთ.

⁂ რუსეთის მრეწველობის განვითარების გამოსარკვევადა (რა მხრივ უფრო ვითარდება) და მომავალში მისდა უზრუნველ საყოფელად ღონისძიებათა მისაღებად ფინანსთა სამინისტრო დაწვრილებითს საჭირო სტატისტიკურ ცნობების შეკრებვას შესდგომია. ცნობები შეიკრიბება როგორც ტეხნიკურ მხარისა, ისე ჩვენის მრეწველობის დღევანდელ ნივთიერ მდგომარეობის შესახებ. აღნიშნულის ცნობების შეკრებვა ფაბრიკებისა და ქარხნების ზედამხედველს ინსპექტორებსა აქვთ მინდობილი.

⁂ როგორც ქართულის დრამატიულ საზოგადოების გამგეობა იუწყება, ქართული წარმოდგენები ამ წელს 1-ლ სექტემბრიდგან თურმე

იწყება, რომლებშიაც მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი ჩვენი ცნობილი არტისტი ქალები და კაცები: გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, კარგარელი, ტ. აბაშიძე და სხ., კაცებიდგან: აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, გედევანოვი, გამყრელიძე, აწყურელი და სხ. გასტროლებში მონაწილეობას მიიღებენ: საფაროვისა-აბაშიძისა, ჩხეიძე, ალექსი-მესხიშვილი და კ. ყიფიანი. რეპერტუარიდგან დასახელებულია ახალი პიესები: „პატიოსნება“, „ირინეს ბედნიერება“, „ნორა“, „გაცრუებული იმედები“, „ოქროს ევა“, „სანატრელი ცოლი“, „ტარტუფი“, „სოფლის მასწავლებელი“, „არივ-დარია“ და „სიძე-ბიტონი“. ვინც სეზონის აბონემენტს აიღებს, ნამდვილს ფასს 25 % დააკლდებათ. აცხადებენ, წარმოდგენები ჩვეულებრივ კვირაობითა და ხუთშაბათობით თურმე იქმნება.

⁂ როგორც გაზ. „Нов Обозр.“ სწერს, ამ წელს ადგილობრივს საოპერო დასში მონაწილეობას თურმე მიიღებენ: სოპრანო—ქ-ნი ინსაროვა, ტერ-ასატუროვა, რადინა, გუშჩინა; მეცცო-სოპრანო—პოპოვა და მიხაილოვა; ტენორები: როზალიოვი, ბორისენკო, ერნესტი; ბარიტონები: კამიონსკი, მაქსაკოვი, გლადკოვი და გერასიმენკო; ბასსები: გორიაინოვი, სიბირიაკოვი; დირიჟორებათ იქმნებიან: პაგანი და ბარბინი.

⁂ როგორც საგირის სადგურიდგან იუწყებიან, 26 აგვისტოს, ნაშუადღევის 5 საათსა და 30 წუთზედ საქონლის მატარებელი № 163 მატარებელს № 162 დასჯახებია. ორთქლმავლები ლიანდაგიდგან გადაცვივნულან და ერთი დატვირთული ცისტერნა და 6 ვაგონი დამტვრეულა. 27 აგვისტოს გზის ასაქცევი ლიანდაგი გააკეთეს.

⁂ როგორც ავჭალიდგან იტყობინებიან, 24 აგვისტოს საფოსტო მატარებელი № 3 რომ დაძრულა, ვაგონის საფეხურზედ შემხტარა უცბად მგზავრი ალექსანდრე ციციშვილი. ციციშვილს ბილეთების გამსყიდველი მუშკუდიანი დასჰიდებია და არ უშვებდა თურმე. რომ როგორმე განთავისუფლებულიყო, ციციშვილს ხანჯალი ამოუღია და თავში დაუკრია. მატარებელი მაშინვე შეაჩერესო.

⁂ ტფილისის რკინის გზის სადგურიდგან იუწყებიან, რომ 24 აგვისტოს, საღამოს 6 საათზედ, მცხეთიდგან მომავალი საგარაკო მატარებელი № 18 მე-283 ვერსზედ უღელს კამეჩსა და კაცს წამოსწევია და გაუსრესნია.

⁂ როგორც ფოთის სადგურიდგან იუწყებიან, 24 აგვისტოს ქვის ვაგონის დაცლის დროს 22 წლის მუშა ვარდენ ნიკოლოზის ძე წულაია ვაგონიდგან გადმომხტარა და ფეხი მოუტეხნია. დაშავებული რკინის გზის საავადმყოფოში გაუგზავნიათ.

⁂ როგორც ბაქოდგან იუწყებიან, ორთქლ-მავალზედ ვაგონის მიბმის დროს რკინის გზის მსახურს მამამთავრიშვილს სახე და ხელები მთლად დასწვია. დაშავებული საავადმყოფოში გაუგზავნიათ.

ქიზიყის მატიანე

2.

მოგახსენებდით ქიზიყის ვარამს, საერთო მამულის მფლობელობას. საერო და საზოგადო მიწის მფლობელობას ბევრი მოტრფიალე ჰყავნდა უწინ და იქნება ახლაც ზოგიერთების თაყვანის-ცემა არ დაჰკარგვია. უნდა-კი მოგახსენოთ, რომ ეს პირნი უმეტეს ნაწილად არიან თეორეტიკნი, კაბინეთის კაცნი. გამოცდილება ცხად ჰყოფს, რომ მამულების გაუყოფლობა ერთი უდიდესი უბედურობაა ხალხის ცხოვრებაში: მის გამო მამული თახსირდება და ფუჭდება. ისიც, რასაკვირველია, ანგარიშში ჩასაგდებია, თუ რა წესისა და ფორმისაა საერთო მფლობელოდა.

რუსების, მაგალითებრ, „ობშჩინა“ და ჩვენი, ქიზიყური „თემობა“ ერთი როდია.

რუსეთში „ობშჩინა“ გაწეს-რიგებულია, იქ საზოგადო მფლობელობა არა ნიშნავს მდიდრის ფაშფაშსა და ნეტარებასა და ღარიბისა დახრჩობას. ქიზიყში-კი სწორედ ასეა. მამული საზოგადოა, სოფლისაა, ყველასიაო,—და აქედამ ქიზიყში ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ საქმე მისწრებაზეა და ვინც მეტს მოხნავს, გასთიბავს, საქონელს შაინახავს,—ის იმისია და სიყოჩაღეში ჩამოერთმევა. ღარიბი? — ის ვერცა ჰხნავს, ვერცა სთესავს. მის ნაწილს მამულს მდიდრები ხმარობენ, უფრო მდიდრდებიან და ესკი იწვის სიღარიბის ცეცხლში. მამულს ამისათვის არავითარი შემოსავალი არ მოაქვს, რადგან ამას თითდადებით მამული არსად ეკუთვნის.

სადაც მამული დაყოფილია, იქ სულ სხვა სურათს ვხედავთ. იქ ღარიბი თუ თვითონ ვერ მოხნავს-მოიხმარებს თავისს მამულს, სხვაზედ მაინც გააქირავებს და ხელს მოინაცვლებს. ქიზიყელი ღარიბი ამ მადლს მოკლებულია. და განა ეს დიდი უსამართლობა არ არის! როგორ, არა, ქიზიყი დრტვინავს ამ უსამართლო უღლის ქვეშ და წამალი-კი დღემდის არსაით არის. ვინ დასდევს ან-კი წამალს. ერობა არა გვაქვს, ჩვენის დარდის მაუწყებელი. საიდამ და როგორ ეშველოს საქმეს.

ღარიბი კაცი ქიზიყში სრულიად უმამულოა, რადგან მის მამულს მისი ერთ-სოფლელნი მდიდარნი ხმარობენ. ხარჯსა და ფოშტის ფულს ყველა ქიზიყელი იხდის, ვითარცა სოფლელი მემამულე გლეხი. სულ უკანასკნელ სოფლელს ღარიბს სახელმწიფო ხარჯი მეტი აქვს, ვიდრე ქალაქის გლეხს (МѢЩАНИНЪ-ს). იმიტომ, რომ ქალაქის გლეხს მამული არა აქვს, ეს მთავრობამაც იცის,—და სოფლელს გლეხს-კი მამული აქვსო,—ამაში მთავრობა დარწმუნებულია, — და დიდს ხარჯსაც იმიტომ აწერს. საბოლოვო დასკვნა ის გამოდის, რომ მთავრობის დავთრებში და „ვედომოსტებში“ ქიზიყელი მამულიანი კაცია და ნამდვილად-კი ასში ოცია მამულის მომრევნე და მხმარებელი, დანარჩენნი უმამულონი არიან.

აი, ამ უსამართლობამ, მომდინარემ ქიზიყის უწეს-რიგო მამულის მფლობელობიდამ, სამოციან წლებში ქიზიყის ორი სოფელი ნუკრიანი და ჰოტორი დიდს განსაცდელში ჩააგდო. ეს ორი სოფელი დაიღუპა მთლად საშვილი-შვილოდ, უწყალოდ და უმწეოდ. ეხლა ჰგძნობენ, მაგრამ გვიანღაა. ეს რა საქმე, რა უბედურობაა, რა საქვეყნო ჰირბოროტია,—ბევრს ახალგაზდა მკითხველს „ივერიისას“, იქნება, არც კი გაუგონია. ძველებმა თუ იციან თვით ფაქტი, არ ეცოდინებათ ის უბედურობანი, რომელნიც მოჰყვნენ იმ ფაქტს.

ნიშნობლივ იმ გარემოებამ, რომ საერთო მფლობელობის გამო ღარიბნი უმამულონი რჩებიან და ხარჯს-კი ვითარცა მემამულენი იხდიან, სამოციან წლებში ნუკრიან-ჰოტორელები იმ დასკვნამდის მიიყვანა, რომ ვსთხოვოთ მთავრობას: აღარც მამული გვინდა და ნუღარც ხარჯს შემოგვაწერთო, ჩაგვრიცხეთ ქალაქ სიღნაღის უმამულო გლეხებათაო (МѢЩАНАМИ). ასე გადასწყვიტა ამ ორის სოფლის უმრავლესობამ, ვინაიდგან უმრავლესობას როგორც ამ სოფლებში, ისე ყველგან ქიზიყში, ღარიბები შეადგენენ.

როგორ მოგწონთ ასეთი გადაწყვეტილება? ქართველი კაცი, რომელმაც ქვეყანაზედ ხვნა-თესვის მეტი არა იცის-რა, უარს ამბობს მამულზედ;—იმ მამულზედ, რომელიც მისმა წინაპრებმა სისხლით დაიცვეს და შეინახეს.

ასეთი გენია და საშვილიშვილოთ დაუშრეტელი ცეცხლი გააჩინა ამ ორ სოფელში მამულის საერთო მფლობელობამ და მისგამო ღარიბთა უმამულობამ. ნუკრიან-ჰოტორმა საერთო ყრილობაზედ დაადგინეს შესაფერი ოქმი, გაგზავნეს მთავრობასთან. ერთ მშვენიერს დღეს ორი სოფელი ქ. სიღნაღს მიეწერა და მიწები, როგორც სახელმწიფო კუთვნილება, „აგენტს“ ჩაებარა, ჩაირიცხა იმ თავისუფალ მამულთა სიაში, რომელსაც ობროჩნი სტატიას“ ეძახიან და რომელ მამულსაც მთავრობა განაგებს თავის სურვილის თანახმად: ესე იგი აქირავებს იჯარით მასზედ, ვინც მეტს იჯარას მისცემს, აკეთებს იქ გადმოსახლებულთა ხალ-შენებს და სხვა-და-სხვა.

ჰოტორ-ნუკრიანელები, რასაკვირველია, ქალაქში ჩარიცხვით მოქალაქებად ვერ იქცნენ, ესე იგი ვაჭრებ-ხელოსნებათ არ გადიცვალნენ. ისინი მამა-პაპურად მეურნეობით სცხოვრობენ, მამულს ეჭიდებიან და... მამული-კი დაკარგეს. მათი ნაჭერი მამულები ზოგი მალაკნებს მისცეს, ზოგი წმ. ნინოს მონასტერს მიუზომეს. ძველი პატრონებიც-კი დაწრწიან აქათ-იქით და თითო დღიურ მამულს ქირაობენ მესაკუთრეებისაგან.

ეხლა ხომ ხედავთ, რა დიდი უბედურება დატრიალებულა ამ სოფლებში. ორჯერ-სამჯერაც ითხოვეს: შევცდით, უკანვე დაგვიბრუნეთ ჩვენი ნაჭერი მამულიო, მაგრამ ამ თხოვნის შეწყნარებას ველარ ეღირსებიან საწყალნი მსხვერპლნი „საერთო მიწის მფლობელობისა.“ ცოტას მორჩა მაშინ ჰოტორ-ნუკრიანის მაგალითს მთელი ქიზიყი არ აჰყვა და ცოტას მორჩა ეს უდიდესი კუთხე ჩვენის ქვეყნისა სამუდამოდ არ დაიღუპა. მაშინვე ნახევარი მალაროც გა-„მოქალაქდა.“

იგივე წესი მიწად-მფლობლობისა ჰბადებს ქიზიყში საშინელს შეუფერებლობას ქონების განაწილებაში. მდიდარი ქიზიყი,—მდიდარი და ამაყი თავისის სიმდიდრით ქიზიყელი!—ეს სიტყვები ყოველ ქართველ მკითხველს გაგონილი ექნება. მართლაც და ისეთი მდიდარი გლეხები, როგორნიც ქიზიყში მოიძებნებიან, არა თუ საქართველოში, არც მთელს რუსეთში იქნებიან სადმე. ოცი, ოცდა-ათი ქიზიყელი გამოვა ისეთი, რომ მთელს გურიას, ანუ სამეგრელოს იყიდის. მაგრამ რა: ესენი არიან მცირედნი, მათს გარს არტყია დიდი გუნდი ღარიბებისა, რომელთაც აღდგომის დღეს წითელი კვერცხი ენატრებათ: უსახლკარო, დაბრანძულნი, დახეულნი, მშიერნი... საზარელია მათი ნახვაც-კი!

ასეთი უსწორ-მასწორობა შედეგია ყველა იმისი, რასაც ზევით მოგახსენებდით: მდიდარი ხმარობს სასოფლო მამულს ბლომად და უფრო და უფრო დაუსრულებლივ ჰზდის თავისს სიმდიდრეს. აბა მამულები დაყოფილები იყოს: მაშინ ის მიადგებოდა ღარიბს მამულის საქირავებლად, და ღარიბიც მდიდარს რაისამეს გამორჩებოდა.

ეს ორი—ხოლო მრავალ არიან საერთო მფლობელობის ცუდი შედეგები და სიტყვა მათზედ შემდეგს წერილებში იყოს.

22 აგვისტო 1901 წელი.

ს. მაღარო. მიხეილ ნასიძე

რუსეთი

— რკინის გზების წარმომადგენელთა კრებამ საჭიროდ სცნო გაწესრიგებულ იქმნას რკინის გზების სატეხნიკო და საკომერციო ნაწილებში მოსამსახურეთა სამუშაო საათები. უნდა განისაზღვროს ის, თუ დღეში რამდენი საათი შეუძლიანთ ამუშაონ ეს მოსამსახურენი. კრებას დაუდგენია ამის შესახებ შუამდგომლობა აღძრას.

— უმართებულესმა სენატმა ამ ცოტა ხანში თავისი აზრი უნდა გამოსთქვას ერთის საქმის გამო, რომელსაც პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს. მიწად-მოქმედების სამინისტროს ამ რამდენისამე ხნის წინად ვაჭრობით გაუცია ერთ აგარაკში რამდენიმე ნაჭერი მიწა. ეს მიწები ვაჭრობის დროს დარჩენიათ ებრაელებს, რომელთაც ნება აქვთ მიცემული სატახტო ქალაქებში ცხოვრებისა. მინისტრს არ დაუმტკიცებია ვაჭრობა და ებრაელთათვის გამოუცხადებია, რომ იჯარით მიწის აღების ნება არა გაქვთო. ეს საქმე ებრაელებს უმართ. სენატში გადაუტანიათ, რომელიც მალე გამოსთქვამს თავისს აზრს.

— პეტერბურგში ერთ ქუჩაზედ უზარმაზარ სახლს აშენებს საიმპერატორო კაცთ-მოყვარე საზოგადოება. ეს სახლი მთლად წვრილ ბინებად იქმნება დაყოფილი და ქირით მიეცემა ქალაქის ღარიბ მცხოვრებთ.

— საერო განათლების სამინისტროს წინაშე შუამდგომლობაა აღძრული იმის შესახებ, ახალს სასკოლო პროგრამაში ხაზვა-ხატვას, როგორც ფრიად მნიშვნელოვან საგანს, საპატიო ადგილი დაეთმოს.

— გზათა სამინისტროს შეუმუშავებია ახალი პროექტი რკინის გზების ადგილობრივ გამგეობათა შტატებისა. როგორც პროექტიდგან სჩანს, რკინის გზის საბჭოს წევრებად უწინდელებრ იქმნებიან გზის უფროსი და წარმომადგენელნი გზათა და ფინანსთა სამინისტროებისა და სახელმწიფო კანტროლისა, მაგრამ ამ საბჭოს მეტი უფლებანი მიენიჭება სატეხნიკო და სამეურნეო საქმეების გადაწყვეტის დროს. ამას გარდა ზოგიერთი საქმე, რომელიც დღეს გზათა მთავარკომიტეტს აქვს ჩაბარებული, რკინის გზის გამგეობებს გადაეცემა. ამავე პროექტით რკინის გზის მოსამსახურეებს პირველად ენიჭებათ სახელმწიფო სამსახურის უფლებანი. ოქტომბერში ამ პროექტს საბოლოოდ განიხილავს განსაკუთრებული კომისია მინისტრის თავ. მ. ი. ხილკოვის თავმჯდომარეობით.

— პეტერბურგში არსდება ახალი სააქციონერო საზოგადოება. საზოგადოებას აზრად წიგნების ვაჭრობა ექნება რკინის გზის სადგურებზედ.

უცხოეთი

დანია. ამ დღეებში ქალაქ კოპენჰაგენში სკანდინავის მუშათა კონგრესი მოხდა. კონგრესის უკანასკნელს სხდომაზედ განხილული იქმნა ცნობილ პუბლიცისტის იამარ ბრანტინგის მოხსენება შვეციაში საყოველთაო ხმის უფლების შემოღების შესახებ. რამდენისამე დანიელისა და ნორვეგიელ ორატორის სიტყვების შემდეგ ერთხმად მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლუცია:

„მუშათა კლასი შვეციაში სრულიად მოკლებულია საყოველთაო ხმის უფლებას, რაიცა ფრიად საჭიროა საზოგადო საურთიერთო განწყობილების განვითარებისათვის. ეს უსამართლო არა სასურველი გარემოებანი აბრკოლებენ აგრეთვე სკანდინავის სხვა ქვეყნებში წინსვლას და შვეციის მდაბიო კლასი კაი ხანია შუამდგომლობდა საყოველთაო ხმის მიცემის შემოღებას, მაგრამ მისმა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. ამისათვის კონგრესი ჰპირდება შვეციის მუშებს ძლიერსა და ენერგიულს დახმარებას ნორვეგიისა და შვეციის მუშების მხრივ როგორც ზნეობრივად, ისე ქონებრივად იმ შემთხვევაში, თუ მათ ეხლაც არ მიენიჭა საყოველთაო ხმის უფლება, და ამის გამო ისინი იძულებულ იქმნენ მუშაობა აღკვეთონ. ყოველივე პასუხის გება იმ უბედურებისათვის, რომელიც ეწვევა ქვეყანას საზოგადო მუშაობის აღკვეთისა გამო, უნდა იკისრონ შვეციის რეაქციონურმა მთავრობამ და იმათ, ვისაც არ ესმის ხალხის საჭიროება. შემდეგი კონგრესი სკანდინავის მუშებისა ხრისტიანიაში მოხდება 1906 წ.

— ერთი დანური გაზეთი იუწყება, რომ სამინისტროს შეცვლის შემდეგ მემარცხენეთა შორის ყველაზედ მეტს სჯა-ბაასობენ იმის შესახებ, რომ მიწათ-მოქმედების ახალი მინისტრი ოლ ეგანსენი დარჩა ისევ გლეხად, თუ არაო. ამ საგნის გამოსაკვლევად გაზეთს ერთი თანამშრომელი გაუგზავნია „მისის აღმატებულების“ ფერმაში, სადაც თანამშრომელი დარწმუნებულა, რომ ბ-ნ მინისტრის „მამული“ მართლა უდრის საშუალო ქონების გლეხის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოსა.“ მინისტრი თვითონ მუშა-ბს თურმე ფერმაში, ხოლო მისი ილი განს განსენი მამას ეხმარება. ლაცა შეჰკითხებია მინისტრს, რო-რ შეეგება თქვენი მეუღლე თქვენს ნისტრად დანიშვნასაო. მინისტრს უგია, რომ ჩემი მეუღლე სულაც გაოცებულა ამით, მხოლოდ ემნიშნა: „შენ, ეი, კარგად განა- მანდ სამინისტრო, ხოლო მე აქ ჯახს მოუვლიო!“

—

ავსტრ-უნგრეთი. გრაფს გო-უხოვსკის გაუგზავნია პეტერბურგ- დიპლომატიური ნოტა რუსეთის ოლიტიკისა გამო, რომელიც მი-ბულ იქმნა ამ უკანასკნელს დროს ლკანეთის ნახევარ კუნძულზე. ეს აგანი განხილულ იქმნება უნგრე-ის პარლამენტში. ვენის გაზეთები- სხვანაირად უყურებენ ამ საქმეს ექვობენ, რომ რუსეთმა, რომე-იც აქამდის მტკიცედ ასრულებდა ავისს პი რობას ავსტრ-უნგრეთთან, დასწყვიტოს ახალის პოლიტიკუ-ის გზის არჩევა, რომელიც ევრო-ის მშვიდობიანობისათვის თუ არა, ლკანეთისათვის მაინც საშიშოა.

— ბოჰემიის სეიმის არჩევნები ანიშნულია 8—15 სექტემბრისა-ვის. ნემეცთა ზომიერი დასები მე-ად შეფოთავენ ნაციონალისტების მაღალ გამარჯვებისა გამო ბოჰე-ის ოლქებში. გაზ. „Neue Freie resse“ აშკარად თხოულობს მთავ-რობისაგან დახმარებას. თუ ნემეც-ა ნაციონალისტები გახდნენ ერ-ად ერთი წარმომადგენელი ბოჰე-ის სეიმში, ისინი შ იტანენ თან ნსტრუქციას და მით ფართო ასპა-ეზს მისცემენ ჩეხთა უმრავლესობას, რომელიც კვლავ „ივით-ნებობრს ოლიტიკას“ დაადგებაო. ამისათვის აჭიროა მთავრობამ ნემეცთა ზო-იერი დასები შეავსოს მსხვილ მი-ის პატრონებისაგან, რომელნიც იდს მეტოქეობას გაუწევენ ჩეხ-თა დიდ-კაცებსაო. ამავე აზრს მტკიცებენ ნემეცები ბოჰემიის ყო-ელ არჩევნების წინად. რასაკვირ-ელია ნემეცთა მიზანია ამასთანავე ბოჰემიის სეიმში ჩეხთა უმრავლესო-ა, თუ სულ არა, რამდენადმე მაინც შეამცირონ და შეასუსტონ.

დაბა და სოფელი

—

ძველი-სენაკი. წელს ძველი-სენა-ის ბაზრობა 1 აგვისტოს დაიწყო. ამ დღიდან მოვაჰრე ხალხი თან-და-თან ემატებოდა დაბას. 6 აგვისტოს აურებელი მოსული ხალხით გაი-ვსო მთელი მიდამო დაბისა. ბევრი იყო სავაჭროდ მოსული როგორც სამეგრელოს დაბა-სოფლებიდგან, ისე ჩვენის სამშობლოს სხვა ქალაქ-დაბა-სოფლებიდგანაც. თან მოეტა-ნათ საბაზროდ ისეთი საქონელი, რომლის მოთხოვნილებაც დიდია ბაზრობაში, მაგალ.: ნოხი-ფარდაგ-ლიჩები, ფარჩეულობა, მატყლი და სხვა-და-სხვა წვრილმანი სავაჭრო. სამეგრელოს ნაწარმოებს თითქმის ყველას შეხვდებოდით: მშვენიერს აბრეშუმის ქსოვილს დარაიებს, აბრეშუმ-ნარევ ფერად-ფერად სახო-ებს, ამოხვეულ აბრეშუმის ძაფს და სხ. ბლომად მოერეკათ აგრეთვე გასასყიდი საქონელი, რომელიც ერთობ იაფად ფასობდა წელს: ულელს კარგს ხარს კაცი 4—5 თუმნად იყიდდა, მაშინ როდესაც წინა წლებში ამაზედ უარესი გაყიდულა 7—8 თუმნად. ასევე იაფი იყო საკლავი საქონელიც. დანარჩენნი ადგილობრივნი ნაწარმოებნიც, წარსულ წლებთან შედარებით, თითქმის ნახევარ ფასად იყიდებოდნენ. სამაგიეროდ, გარედგან სავაჭროდ მოსულები თავიანთს საქონელს მამასისხლადა ჰყიდდნენ. უფრო ხელი მოითბეს ამათგან მეფართლე ებრაელებმა, რომელთაც გაფუჭებული და დამპალი ჩითეულობა მოეტანათ.

ასეა თუ ისე, წრევანდელი ძველი-სენაკის ბაზრობის მადლიერი კიდევ მაინც გარეშე ვაჭრებია და მათ შორის, რასაკვირველია, ებრაელები, რადგანაც მათ ხელში იყო ფასების აწევაცა და დაწევაცა.

15 აგვისტოს, აქაურს სათავად-აზნაურო სკოლის დარბაზში, ქართული სცენის მოყვარეებმა საქველმოქმედო აზრით წარმოდგენა გამართეს. მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი იყვნენ ქუთაისიდანაც ზოგიერთი არტისტები; დანარჩენნი აქაურები იღებდნენ მონაწილეობას. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. ხალხი ბევრი დაესწრო და ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ. შემოსავალი გვარიანი იყო...

ტრიფონ კალანდარიშვილი

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები.

ამ ზაფხულს, როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, დიდი სიცხეები იყო ამერიკასა და ევროპაში. ამის გამო გაზეთებმა თვალ' გადაავლეს წარსულს, გადასინჯეს ძველი წიგნები და გვაუწყეს, როდისა ყოფილა კიდევ უწინ დიდი სიცხეები. როგორც მატიანენი გადმოგვცემენ, 627 წელს ქრ. დაბ. შემდეგ საფრანგეთსა და გერმანიაში ისეთი სიცხეები ყოფილა, რომ მდინარეები დამშრალა და აურებელი ხალხი ამოწყვეტილა უწყლობით. 1000 წელსაც დამშრალა მდინარეები; დამშრალ მდინარეებში თევზი დამპალა და ამის გამო საშინელი სენი დამდგარა, რასაც სხვა-და-სხვა სენი მოჰყოლია. 1022 და 1132 წ. მდინარე რეინი დამშრალა. 1139 წელს იტალიაში ისეთი სიცხეები ყოფილა, რომ მცენარეულობა სულ ერთიან გადამწვარა. 1260 წელს, ბაზელთან მომხდარ ბრძოლის დროს, სიცხისაგან ბევრად უფრო მეტი ხალხი დახოცილა, ვიდრე მტრის ტყვიისაგან; გზები სიცხისაგან დახოცილ ჯარისკაცებით იყო თურმე დაფენილი. სიცხეები ყოფილა 1277, 1303, 1304, 1615 და 1705 წლებში. 1718 წელს მაღაზიები, ტეატრები და დუქნები მთელი ექვსი თვე დაკეტილი ყოფილა, ეკლესიებში აღარავინ დაიარებოდა თურმე. ექვსი თვის განმავლობაში ერთი წვეთი წვიმა არ ჩამოვარდნილა. 1779 წელს ბულონში ხალხი სიცხისაგან როგორც ბუზები, ისე იხოცებოდნენ. დიდი სიცხეები ევროპაში ყოფილა აგრეთვე შემდეგ წლებში: 1822, 1832, 1846, 1859, 1860, 1867 და 1874 წელს.

⁂

როგორც ინჟენერი ფროკი გადმოგვცემს, ბრაზილიის ტყეებში სცხოვრობენ თურმე მომღერალი და მგალობელი გველები: სურუკუკუ და სიკურიუ. მამალი სურუკუკი ნადირობის შემდეგ შინ დაბრუნებას ნაზის სტვენით ატყობინებს თავის მეუღლეს, რომელიც ასევე აძლევს პასუხს. ფროკს მშვენივრად შეუსწავლია სურუკუკუს ხმა და ამის წყალობით არა ერთხელ შეუკრებია გველები. ბრაზილიაში, იმავე ინჟენერის სიტყვით, მოშინაურებული გველებიცა ჰყოლიათ თაგვების საჭეროდ. ეს გველები ბოას ჯიშისანი არიან, სიგრძე ასეთ გველს სამი ფუტი აქვს, იგი კაცის მკლავის სიმსხოა. ამ გველებს რიო-დე-ჟანეიროსა, ფერნამბუკოსა, ბაგიას და სხვა ქალაქის ბაზრებში ჰყიდიან თითოს 2—3 მანეთად. კაცისათვის არაფრით ეს გველი საშიში არ არის. დღისით სძინავთ, ღამე-კი ნადირობენ. თაგვებს გარდა ეს გველები მინდორში ვირთაგვებსაც იჭერენ ბლომად. სახლებს ისე ეჩვევიან, რომ რაც უნდა შორს მანძილზედ წაიყვანოს კაცმა, მაინც შინა ბრუნდება. ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთ ნაწილში ერთ გვარი გველია, რომელიც ფერით სრულიადა ჰგავს თურმე ბალახს. ეს გველი სოროდგან ამოჰყოფს თურმე თავს და ასე გაშეშებულია იმ დრომდე, ვიდრე რომელიმე პატარა ცხოველი არ გაივლის სოროს მახლობლად.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

25 აგვისტო.

პეტერბურგი. პატარა თეატრის პატრონი გრაფინია აპრაქსინისა აღარ აპირობს თეატრის აშენებას. გრაფინიამ გადასწყვიტა, თეატრის მაგივრად აპრაქსინის ქარვასლის მოხუცებულ და ღარიბ ვაჭრებისათვის თავშესაფარი სახლი ააგოს.

ბათუმი. სამხედრო გემით „პრუტით“ ბათუმში მოვიდნენ: საბერძნეთის დედოფალი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, მთავრის ვლადიმირის ასული ელენე, დიდი მთავარი გიორგი მიხეილის ძე, დიდი მთავრინა მარიამ გიორგის ასული და საბერძნეთის მეფის ძენი, ანდრია და ქრისტეფორე. უავგუსტოეს მოგზაურებს მიეგებნენ: დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე, კავკასიის მთავარ-მართებელი თავადი გოლიცინი, მისი თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ფრეზე, ციხის უფროსი გენერალი სოკოლოვსკი, გუბერნიის მმართველი კალაჩოვი, ოლქის მმართველი დრიაგინი, ქალაქის თავის მოადგილე ივანოვი, სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი, ქალაქის წარმომადგენელნი, სკოლების მასწავლებელნი და მოსწავლენი და დიდ-ძალი ხალხი, დედოფალს და დიდ მთავრინებს ყვავილის თაიგულები მიართვეს. ქალაქი და გემები დროშებით იყო მორთული. დედოფალმა და დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ საავადმყოფო ინახულეს და 12 ივლისის აფეთქების დროს დაჭრილებს მოწყალედ ელაპარაკნენ. აგრეთვე დაათვალიერეს ბატარეია ბურუნ-ტაბიე. დიდმა მთავარმა გადაჰკოცნა კანონიერი ბუციგინი. მეთორმეტე საათზე ძვირფასი სტუმრები და მთავარ-მართებელი საგანგებო მატარებლით ბორჯომს წავიდნენ.

ბუფალო. ექიმმა პუსოჩმა, რომელიც მაკ-კინლეის სწამლობს, შემდეგი ანგარიში გამოაცხადა: „ნაშუადღევის 4 საათი იქნებოდა, როდესაც პრეზიდენტს ესროლეს; ერთი ტყვია მკერდის ზევით ნაწილში მოჰხვდა და გაჩერდა; მეორე ტყვიამ მუცელში გაუარა, ეს ჭრილობა გამოიკვლიეს: ტყვიას კუჭამდე მიუღწევია. კუჭი გავუსინჯეთ და ორ ადგილას აბრეშუმით გავკერეთ. სად წასულა შემდეგში ტყვია —ბევრი ვეცადეთ, მაგრამ ვერ გავიგეთ. კუჭის ჭრილობა უვნებლად გაიკერა; ნაწლევი და კუჭის სხვა ნაწილები დაშავებული არა აქვს, ოპერაცია დაჭრილმა კარგად აიტანა. რა შედეგი მოჰყვება ოპერაციას,—ამაზე გადაწყვეტით ვერას ვიტყვით, მაგრამ ავადმყოფი ამ ჟამად ისეთ მდგომარეობაშია, რომ მორჩენის იმედი გვაქვს.“ 10 ს. და 40 წ. შემდეგი ბიულეტენი გამოიცა: „ავადმყოფს განკურნება შესამჩნევად ეტყობა; ტემპერატურა—100,4, მაჯა—124, სუნთქვა—24“. საღამოს 7½ საათზე მაკ-კინლეი გამოფენის პრეზიდენტ მილბურნის სადგომში გადაიყვანეს; ავადმყოფი საკმაოდ კარგად არის.

ნემანი 28 წლის კაცია; სიმაღლით 5 ფუტი და 9 დიუიმია. ინგლისურად ძალიან კარგად ლაპარაკობს. მთელ პოლიციას იმ ცენტრალურ სადგურზე მოუყრია თავი, სადაც ნემანია დაპატიმრებული; ამ საპატიმროში არავის არ უშვებენ.

ბუფალო. ნაშუადღევის 6 საათზე მაკ-კინლეის ერთმა ექიმმა შეამოწმა, რომ პრეზიდენტი თავისუფლად ჰსუნთქავს და მაჯაც კარგი აქვსო. ექვს საათზედ პრეზიდენტი დააძინეს. მეშვიდე საათზე ექიმებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ ჭრილობა თუმცა სერიოზულია, მაგრამ უეჭველად სასიკვდილო არ არისო. მუცელში ტყვია ვერ იპოვნეს, მაგრამ ჭრილობა შეუკრეს. როდესაც ტყვიები მოჰხვდა, პრეზიდენტი დაეშვა საიდუმლო პოლიციის აგენტის გეორგის ხელზე და დამშვიდებით ჰკითხა: „მე მესროლეს, გეორგ?“ აგენტმა ჟილეტი გაუხსნა მაკ-კინლეის და, რა დაუნახა სისხლი, უთხრა: „ვშიშობ, ბ. პრეზიდენტო, რომ ნემანმა თქვენ გესროლათ რევოლვერი, რომელიც ცხვირსახოცში ჰქონდა დამალული“. მეორე პოლიციელი, რომელიც პრეზიდენტთან იდგა, მივარდა დამნაშავეს და მიწაზედ წააქცია. კიდევ ორი კაცი მივარდა ნემანს. როდესაც ის გამოჰგლიჯეს ხალხს ხელიდან, სახე სასისხლიანებული ჰქონდა.

ბუფალო. ბიულეტენი დილის ექვს საათზე: „პრეზიდენტმა ღამე კარგად გაატარა. სიცხე—102 (ფარენგეიტით), მაჯა—110, სუნთქვა—24“.

ბუფალო. ვიცე-პრეზიდენტი რუზველტი აქ გამოიხმეს. მაკ-კინლეის ცოლი მძიმე ავადმყოფია და ამისათვის ჯერ არაფერი გაუმხელიათ იმისთვის.

ბუფალო. ბოროტ-მოქმედს ლეონ ჩოლგოსი, ჰქვიან. გერმანიელი პოლონელია და დაბადებულია დეტრიოტში. მისი სიტყვით, დანაშაულობაში თანა-მოზიარეები არა ჰყავს; ჭკუაზე შეშლილობის ნიშნები არ ეტყობა. ჩიკაგოში დატუსაღებულია 5 ანარქისტი, რომელთზედაც ეჭვი შეიტანეს, რომ ბოროტ-მოქმედებაში ერივნენ.

ბუფალო. ჰარმონიის კონცერტი გათავდა თუ არა, იმ დროს ესროლეს მაკ-კინლეის რევოლვერი. თუმცა მაკ-კინლეის საიდუმლო პოლიციის აგენტები იცავდნენ, მაგრამ მაინც ადვილი იყო მისი მოკვლა, რადგანაც პრეზიდენტი მაღალ ადგილზე იდგა ნაპირას. ხალხი სხვა-და-სხვა კარებიდან შედიოდა დარბაზში და ჰელვა-ჰულეტა თან-და-თან ძლიერდებოდა; მაკ-კინლეის უხაროდა ეს ამბავი, როგორადაც ნიშანი ხალხის სიყვარულისა. პრეზიდენტს მარჯვნივ გამოფენის პრეზიდენტი მილბურნი ედგა, მარცხნივ საკუთარი მდივანი კარტლაიონი. ამ დროს ერთი კაცი მოუახლოვდა: შავი სერთუკი ეცვა და ერთი ხელი თითქო ხელსახოცით შეხვეული ჰქონდა. ამ კაცმა ხალხში გაიარა და პრეზიდენტს ორი ფუტის მანძილზე მიუახლოვდა, ღიმილით თავი დაუკრა და ხელი მიაწოდა. ამ დროს რევოლვერი გავარდა და სრული სიჩუმე ჩამოვარდა; პრეზიდენტი არ წაიქცა, ფეხზე მაგრა იდგა, მაგრამ თვალები აემღვრა. მერე ერთი ნაბიჯი უკან გადასდგა, სახე გაუფითრდა, მობრუნდა და მაგარის ნაბიჯით სკამს მიუახლოვდა, დაჯდა და სახეზე ხელები მიიფარა; მაშინვე ჟილეტი გაუხსნეს. ამავე დროს გარს შემოხვეულს ხალხს პრეზიდენტმა სთხოვა: მშვიდად იყავით, ჩემთვის ნუ შესწუხდებითო. „მაგრამ თქვენ დაჭრილი ხართო!“—უთხრა მდივანმა. მაკ-კინლეიმ უპასუხა: „არა მგონია, მძიმედ ვიყვე დაჭრილი“. შემდეგ დაუმატა: „როცა ამ ამბავს ჩემს ცოლს უამბობთ, ნუ გაუზვიადებთ!“ ამ დროს დარბაზში დიდი ხმაურობა ასტყდა. ორი პოლიციელი მიჰვარდა მსროლელს, წააქცია და ეცადა იარაღის წართმევას. მკვლელმა ხელი გაინთავისუფლა და ხელმეორედ ეცადა პრეზიდენტისათვის ესროლა. მაკ-კინლეიმ თითონ მოიშორა ის ტყვია, რომელიც მკერდში მოჰხვდა. ეს ტყვია კანში ჰქონოდა გაჩერებული. ამ დროს მაკ-კინლეიმ უთხრა პოლიციელს: „მგონი კიდევ უნდა მქონდეს ერთი ტყვიაო“. შემდეგ დარბაზში, რომელშიაც აურებელი ხალხი შეიკრიბა, საშინელი არეულობა, წივილ-კივილი ასტყდა: კაცები ცდილობდნენ ბოროტ-მოქმედთან მიახლოვებას, ქალები და ბავშვები ჰსტიროდნენ და ჰყვიროდნენ. ხალხი ბოლოს როგორც იყო დაშოშმინდა.

ვაშინგტონი. რადგანაც გამოირკვა, რომ მაკ-კინლეი დიდ ხანს ვერ შესძლებს სამსახურის ასრულებას, ზომები მიიღეს, რომ სახელმწიფო საქმეების წარმოება არ შეჩერდეს. მოელიან, რომ კაბინეთის წევრები საჩქაროდ ბუფალოში წავლენ, მინისტრთა საბჭოში დადგენილება მოხდება სახელმწიფო საქმეების მართვის შესახებ.

კლიველენდში ორი კაცი შეიპყრეს, რომელთაც, როგორცა სჩანს, რაიმე მონაწილეობა უნდა მიეღოთ პრეზიდენტის მოკვლის განზრახვაში. ერთი მათგანი, როგორც ამბობენ, დაჰპირდა პოლიციას აჩვენოს რამდენიმე კაცი, რომელთაც მკვლელობის საქმეში დამოკიდებულება ჰქონდათ ლეონ ჩოლგოსთან. პოლიცია ჰფიქრობს, რომ შეთქულება კლიველენდში უნდა მომხდარიყოს. ჩიკაგოელი ანარხისტები უარს ჰყოფენ ხმას, ვითომ პრეზიდენტის მოკვლის განზრახვა ანარქისტთა შეთქმულების ნაყოფი იყოს.

ლონდონი. „Times“-ის დეპეშით ატყობინებენ პეკინიდან, რომ ელჩებმა დანიშნეს ვადა, როდესაც ჯარები პეკინისა და პეჩილიის პროვინციიდგან უნდა გავიდნენ პირველი ვადა 4 სექტემბერს არის, მეორე 7-სა. ლიხუნჩანგი კიდევ უქეიფოდ შეიქნა.

პეკინი. დასაბოლოვებელ ოქმს ხელი მოაწერეს.

კოპენჰაგენი. რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი გრაფი ლამსდორფი დღეს აქ მოვიდა და დღესვე მეფემ მიიწვია სადილად.

პეტერბურგი. 24 აგვისტო. ბირჟა. ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურც. 90¼ გაიყიდა. ამავე ბანკის 4½% და 6% და 5% გირავ. ფურც. ქუთაისის ბნკისა და აგრეთვე მანთაშევის ნავთის-მწარმოებელ საზოგადოების აქციები ბირჟაზე არ გაუტანიათ.

26 აგვისტო.

პეტერბურგი. გამოქვეყნებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა დაიხარჯოს ის ფული, რომელიც ავადმყოფ და დასახიჩრებულ მუშათა დასახმარებლადაა დანიშნული.

შავი-ჭირის საწინააღმდეგოდ დაწესებული კომისია აცხადებს, რომ მანჯურიის ნავთ-სადგური ინკოუ საფრთხილოა ჭირის გამო.

24 აგვისტოს ხემწიფე იმპერატორმა და დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა კოპენჰაგენის რეიდზე დაათვალიერეს ჯავშნიანი გემი „იმპერატორი ალექსანდრე მე-II“, რომელიც საზღვარგარეთ მოგზაურობის შემდეგ რუსეთში ბრუნდება.

საიმპერატორო სასახლის მინისტრი საზღვარ გარედ წავიდა, რომ მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ თან ეახლოს გერმანიასა და საფრანგეთში ზღვის მანევრებზედ დასწრების დროსა.

კარაკასი, ვენეცუელის მთავრობამ საბოლოვოდ უარი გამოუცხადა შეერთებულ შტატებს, არ გვინდა თქვენი შუამდგომლობა კოლუმბიასთან სადავო საქმეშიო.

ბუფალო. პრეზიდენტის სურვილის თანახმად, ქალბატონს მაკკინლეის აცნობეს იმის ქმრის დაჭრის ამბავი და თან გამოუცხადეს, რომ მძიმედ არ არის დაჭრილიო. პრეზიდენტის მეუღლემ მეტად თავდაჭერით მიიღო ეს ამბავი. გამოფენის პრეზიდენტის მილბურნის სახლს, სადაც დაჭრილი წევს, ერთი როტა ქვეითა ჯარი იცავს. პრეზიდენტის საწოლი მეორე სართულის უკანა ოთახშია, მშვიდობიან ადგილას. უკანა ოთახებში გამოყვანილია ტელეგრაფის მავთულები დეპეშების გასაგზავნად. მწუხარებისა და თანაგრძნობის დეპეშები განუწყვეტლივ მოდის ყველა ქვეყნიდამ. ექიმები იმის ზრუნვაში არიან, რომ რენტგენის სხივებით როგორმე იპოვნონ ტყვიის ადგილი. თუმცა ჩოლგოსი ამტკიცებს, რომ თანამონაწილენი არა მყავდნო, მაგრამ მთავრობა მაინც იმ აზრისაა, რომ აქ შეთქმულობაა და ჩოლგოსს შეთქმულნი თან მოჰყვნენ ბუფალოში. ამერიკის ყველა ქალაქის პოლიციელნი დაეძებენ იმ კაცს, რომელმაც პრეზიდენტს ხელი ჩამოართვა სწორედ რევოლვერის დაცლის წინ.

ბუფალო. ბიულეტენი ნაშუადღევის 3½ საათისა: „პრეზიდენტი მშვიდობიანად წევს და არავითარი ცუდი ცვლილება ჯერ არა სჩანს; მაჯა 140, ტემპერატურა—102, სუნთქვა—24. ექიმები ჰშიშობენ, რომ ჭრილობის ანთება ახლოს არის; თვალ-ყურს ადევნებენ, გამოჩნდება თუ არა ნიშნები სისხლის გაფუჭებისა. ტყვია ზურგის კუნთებშია და ექიმები ამ გარემოებას უმთავრესს მნიშვნელობას არ აძლევენ. ტყვია ქვეით წასულა, მაგრამ არც ნაწლევები და არც თირკმელები არ დაუშავებია. გუშინდელი ოპერაცია თითქმის ერთი საათი გაგრძელდა; ის ადგილი, სადაც ტყვია ეგულებათ, გასჭრეს. ნაწლევები ამოიღეს და კარგად გასინჯეს.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ იმის თანადასწრებით, 28 აგვისტოს, შუადღის 12 საათზე, მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც გაიცემა იჯარით გაკეთება: 1) ბეტონის წყლის მილისა მთაწმიდის ქუჩიდგან დავიდოვის ქუჩით ბარათაშვილის სახლამდე, სიგრძით—66,00 საჟ., სიგანით—0,375×0,25 და 25,00 საჟ. სიგძით და 0,16×010 საჟ. სიგანით; 2) წყლის მილისა ავჭალის ქუჩიდგან პავლოვის ქუჩით ფრიდონოვის სახლამდე, სიგრძით — 85,00 საჟ; სიგანით 0,33×0,22 საჟ. და 163,00 საჟ. სიგრძით, 0,42×0,28 საჟ. სიგანით.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, პირობების გაგება შეუძლიან გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირაუქმის გარდა, დილის 9 საათიდგან 2-მდე.

(1—6.—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მისის თანადასწრებით 28 აგვისტოს, დღის 12 საათზედ, დანიშნულია საჯარო ვაჭრობით გაცემა 25 საფიშო სვეტის დადგმისა ქალაქის ქუჩებში, რაიცა ქალაქის ხუროთმოძღვრის შ. გ. შახნაზაროვის პროექტით დაიჭერს 2,860 მან.

მსურველთ შეუძლიანთ ვაჭრობის პირობები გამგეობის ამშენებელს განყოფილებაში ჰნახონ ყოველ-დღე დილის 9-დგან 1 საათამდე.

(3—6.—1)

ქართული დრამატიულის საზოგადოების გამგეობა.

სექტემბრის პირველ რიცხვებში გაჰმართავს

გამოსაცდელ წარმოდგენას

ვისაც ჰსურს აქ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღება, იმან უნდა მიჰმართოს საზოგადოების კანტორაში (სათავად-აზნაურო ქარვასლაში, თეატრის გვერდზედ) ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის პირველ საათამდე.

(55გ—10)

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარია

აცხადებს, რომ ამა წლის ენკენისთვის პირველ დღიდან თავისუფლდება როინაშვილის ფოტოგრაფიის **გამგეს ადგილი.** ვისაც ჰსურს ეს ადგილი დაიჭიროს, მან უნდა თხოვნით მიჰმართოს საზოგადოების გამგეობას. ფოტოგრაფიის ხელობის ცოდნა სავალდებულოა ჯამაგირი თვეში იქნება 50 მან. და წმინდა მოგებიდგან 25%.

(—8—)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელიწადი მეოცე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1901—1902 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუჰალტერია მარტივი, ორკეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღო, მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ვ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—133—21)

ბალანსი ტფილისის სამეურნეო ბანკისა

1 აგვისტოსათვის 1901 წლის.

ა ქ ტ ი ვ ი.

			მან.	კაპ.
I.	კასსა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები)		22082	89
II.	მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში		120	88
III.	„ „ „ა. ფრიდონოვისა ⁊ ამხ.“ საბანკო კანტორაში		100	—
IV.	პირობა-დადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ.		1000	—
V.	სარგებლიანი ქალ. საზოგადოების საკუთვნონი.			
	ა) უზრუნველ-ყოფილნი:	2060—76		
	ბ) არა-უზრუნველ-ყოფილნი:	7927—	9987	76
VI.	სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი.		4383	09
VII.	განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი.		282481	—
VIII.	სოლო-ვექსილით გაცემული სესხი, უზრუნველ-ყოფილი უძრავის ქონებით		400	—
IX.	პროტესტ-ნაქმნარი თამასუქები.		2360	—
X.	განაღდება %-ვადიან ქაღალდებისა, კუპონებისა ⁊ სხ.		201	40
XI.	გირაოთი გაცემული სესხი:			
	ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ.	8598—		
	ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ	18746—		
	გ) საქონელზედ	20732—		
	დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარმ.	9066—	57142	—
XII.	დასაბრუნებელი ხარჯი		91	51
XIII	მოწყობა-მომართვა		2462	50
XIX.	კორესპონდენტები:			
	ა) ჩვენის ანგარიშით (nostro)	69728—56		
	ბ) იმათის ანგარიშით (loro)	14714—50	84443	06
XV.	გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი		163	72
XVI.	სხვა-და-სხვა დებიტორები		233	49
XVII.	გარდასაცემი თანხა		—	—
XVIII.	მიმდინარე ხარჯი		9049	41
	სულ		476702	71

პ ა ს ს ი ვ ი.

			მან.	კაპ.
I.	თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 824 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრი ფულიდგან		87607	—
II.	სათადარიგო თანხა		6309	53
III.	სარგებელი სათადარიგო თანხის სარგებლიან ქაღალდებისა.		73	10
IV.	შემოტანილი ფული:			
	ა) მიმდინარე ანგარიშით	123396—70		
	ბ) ვადით	135997—		
	გ) უვადოდ	120—	259513	70
V.	გარდასაცემი თანხა.		2968	95
VI.	გარდასახდელი სარგებელი.		1813	44
VII.	სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლის.		1	20
VIII.	წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ, მე 12 და 13 §§-ის თანახმად.		300	—
IX.	გარდასაგზავნად შემოტანილი ფული.		18000	—
X.	კორესპონდენტები:			
	ა) ჩვენის ანგარიშით (nostro)	35000—		
	ბ) იმათის ანგარიშით (loro)	27559—64	62559	64
XI.	განსაკუთრებული ანგარიში სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყ.		—	—
XII.	გადანაღდება თამასუქებისა სახელმწიფო ბინკის ტფილისის განყოფილებაში		19750	—
XIII.	წაუღებელი დივიდენდი წარსულ წლებისა.		1897	42
XIV.	წაუღებელი დივიდენდი 1900 წლისა.		2235	53
XV.	მიღებული სარგებელი		13583	20
XVI.	მოგება და ზარალი 1901 წლისა		90	—
	სულ		476702	71
	პასუხის-მგებლობა 824 წევრისა 10-%-იან შემოსატანის გარდ.		788463	—
	საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება		17300	—
	თამასუქები საკომისიოდ.		5773	32

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27-го Августа 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.